საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №379

2015 წლის 8 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 19 დეკემბრის №963 ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 19 დეკემბრის №963 ბრძანებულებაში (www.matsne.gov.ge, 19.12.2013 წ., 010210040.08.002.016900) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების:

1. მე-4 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ“ ქვეპუნქტი:

„ლ) სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი.“.

2. მე-5 მუხლში:

ა) მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ადმინისტრაციის უფროსის მიერ ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მონიტორინგისა და კოორდინაციის მიზნით თავისი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;“;

ბ) მე-9 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

გ) დაემატოს მე-11 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„11. სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) სტრუქტურული ერთეულების მოთხოვნების საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმისა და მასში ცვლილების შეტანის პროექტების მომზადება და დადგენილი წესით დასამტკიცებლად წარდგენა;

ბ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების განხორციელების უზრუნველყოფა;

გ) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში ცვლილების შეტანის პროექტების მომზადება;

დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ინფორმაციის წარდგენა;

ე) საბაჟო პროცედურების განხორციელების უზრუნველყოფა;

ვ) ადმინისტრაციის უფროსის სხვა დავალებების შესრულება.“.

მუხლი 2

ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**